



**AGIC**

*მომზადებულია 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით*





# შინაარსი


გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 12 - ფინანსური კოეფიციენტები



---

## კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება კერძო სკოლების მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის დაწესებულებების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



# მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კერძო სკოლები ეკუთვნის მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიებს, რომელთაგანაც ხუთი ანგარიშგება არის აუდირებული.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2018 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება კერძო სკოლები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 38-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია კერძო სკოლების მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მათ რაოდენობაზე, რეგიონების მიხედვით გადანაწილებაზე, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.





# კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს კერძო სკოლებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 104 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 150 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს 13 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კერძო სკოლები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კერძო სკოლებს გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 8%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 22%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის და გადახდის უნარიანობის შესახებ.






# კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2018 წლის კერძო სკოლების საშუალო მონაცემები. მოცემული 38 სასწავლებლიდან 3 განეკუთვნება მეორე კატეგორიას, ხოლო 35 კი მესამეს.




ათასი,ლარი

## საშუალო რეალიზაცია




ათასი,ლარი

## საშუალო მთლიანი აქტივები



ათასი,ლარი

## საშუალო მოგება დაბეგვრამდე





# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიმოხილვა


საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, საჯარო სკოლების რაოდენობა საკმაოდ სტაბილურია, თუმცა კერძო სკოლების რაოდენობამ 2016-დან 2020 წლამდე, მოიკლო 13 ერთეულით (6%), რაც მიუთითებს კონკურენციაზე დარგში. იმ ფონზე, როდესაც ფიქსირდება მოსწავლეების რაოდენობის ზრდის ტენდენცია წლიდან წლამდე, (გამონაკლისია 2020/2021 წელი, კერძო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა როდესაც დაფიქსირდა კლება წინა წელთან შედარებით 4%-ით). ეტაპობრივად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ ცვლილებებს და ნერგავენ შესაბამის სტანდარტებს, რომელიც

შეესაბამება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნებს, რაც წარმატების საწინდარი გახდება. ანგარიშგების პორტალის ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად 2018-2019 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობამ შეადგინა 2 313 ერთეული.

ქვემოთ მოცემულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რაოდენობა კერძო და საჯარო სკოლების შემთხვევაში (სასწავლო წლის დასაწყისისათვის), ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქსტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად.

ერთეული

საჯარო და კერძო სკოლები, სულ




წყარო: geostat.ge

● საჯარო ● კერძო

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საჯარო სკოლების რაოდენობა ბევრად აღემატება კერძო სკოლების რაოდენობას. რაც შეეხება მოსწავლეთა რაოდენობის გადანაწილებას შემდეგია:

ათასი

მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო და კერძო სკოლებში, სულ



წყარო: geostat.ge


● საჯარო ● კერძო

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საჯარო სკოლებში ბევრად მეტი მოსწავლე სწავლობს, რისი განმსაზღვრელიც შეიძლება იყოს სწავლის საფასურის ღირებულება.




# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიმოხილვა

საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისთვის) შემდეგია:



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2020-2021 წლის თანახმად, ყველაზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არის იმერეთში - 396, შემდეგ მოდის თბილისი - 289 სკოლა, ხოლო მესამე ადგილს იკავებს ქვემო ქართლი - 267 სკოლა. რაც შეეხება კლასების მიხედვით მოსწავლეთა განაწილებას (სასწავლო წლის დასაწყისისათვის), შემდეგია:



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი მოსწავლე ირიცხება 1-6 კლასებში, 302,149 მოსწავლე დაფიქსირდა 2020-2021 წელს. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება კერძო სკოლების შემთხვევაშიც, 2020-2021 წელს 1-6 კლასებში ირიცხება 34,423 მოსწავლე.




# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, კერძო სკოლების მოსწავლეთა გადანაწილება კლასების მიხედვით, ბოლო სამი წლის განმავლობაში (სასწავლო წლის დასაწყისისთვის), შემდეგია:

კაცი

კერძო სკოლებში მოსწავლეთა გადანაწილება კლასების მიხედვით



წყარო: geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა გაცილებით მეტია დაწყებითი ზოგადი განათლების საფეხურზე, კერძო სკოლების შემთხვევაში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში 2019-2020 წლებში, დაფიქსირდა მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა პირველ კლასში - 6 648, ხოლო ამავე წელს მეთორმეტე კლასში დაფიქსირდა 3 881 მოსწავლე. მიმდინარე სტატისტიკის თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნახევარი ასრულებს სკოლას და იღებს ზოგად განათლებას.


2020-2021 წელს დაფიქსირდა მოსწავლეთა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, როგორც პირველ-5 991, ასევე მეთორმეტე კლასში - 3612.






# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2018-2019 წლებში (სასწავლო წლის დასაწყისისთვის) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგების რაოდენობამ 67 344 შეადგინა, აქედან ქალი პედაგოგების რაოდენობა იყო - 58 209.



როგორც გრაფიდან ჩანს ბოლო წლებში პედაგოგების რაოდენობა შემცირდა და 2020-2021 წელს საჯარო სკოლებში პედაგოგების რაოდენობამ 55,491 შეადგინა, აქედან ქალი პედაგოგების რაოდენობაა 48 295 (87%).

რაც შეეხება კერძო სკოლებში პედაგოგების რაოდენობას (სასწავლო წლის დასაწყისისთვის), ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:



როგორც გრაფიდან ჩანს, კერძო სკოლებში პედაგოგების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, საჯაროსთან შედარებით, რაც ლოგიკურიცაა, დაწესებულებებისა და მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 2018-2019 წლებში ფიქსირდება პედაგოგების მაქსიმალური რაოდენობა - 8 085, აქედან ქალები - 7 079.




# ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების რაოდენობამ 10 545 შეადგინა. აქედან საჯარო სკოლებში სწავლობენ:


ერთეული

საჯარო სკოლებში მოსწავლეთა გადანაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით



ერთეული

კერძო სკოლებში მოსწავლეთა გადანაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით




როგორც გრაფებიდან ჩანს, საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების რაოდენობა გაცილებით მეტია კერძო სკოლებთან შედარებით.



## ტოპ 5 კერძო სკოლა შემოსავლების მიხედვით (2018წ)


ათასი, ლარი

აღნიშნული სასწავლებლების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს დანარჩენი კერძო სკოლების ჯამური შემოსავლის 37%-ს.




## ტოპ 5 კერძო სკოლა მთლიანი აქტივების მიხედვით, (2018წ)

ათასი, ლარი



## მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 კერძო სკოლა (2018წ)

ათასი, ლარი






# ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2018 წ.)


## ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად გამოვლინდა კერძო სკოლების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 6.3 და 5,05, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



## მომგებიანობის კოეფიციენტები

კერძო სკოლების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 8%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 22%-ს, აღსანიშნავია საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში რის გამოც, წმინდა მოგების მარჟა შეადგენს მხოლოდ 3% -ს.






# ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2018წ.)

## გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. კერძო სკოლებისთვის ეს მაჩვენებელი უტოლდება 0,55-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 1,48 -ს რაც მიუთითებს თუ რამდენად აღმატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.


გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები კერძო სკოლებისთვის 2018



## ეფექტურობის კოეფიციენტები

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი კერძო სკოლების შემთხვევაში უტოლდება 1,05 -ს რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.

ეფექტურობის კოეფიციენტები კერძო სკოლებისთვის 2018





რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,  
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

